ხელშეკრულება № 222

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 17 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „კია მოტორს ჯორჯია" წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10[1] მუხლის, „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: შპს „სპორტმშენსერვისი"-ს ბალანსზე რიცხული ავტომობილისთვის (KIA SPORTAGE– AH518HA) 5 (ხუთი) ერთეული ძრავის ზეთის, 1 (ერთი) ერთეული სალონისა და 1 (ერთი) ერთეული ჰაერის ფილტრის - **CPV 34300000** შესყიდვა, შეცვლის მომსახურებით - **CPV 50100000** შესყიდვა;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **208 (ორასრვა) ლარი,** აქედან CPV 34300000 - 192 ლარი, CPV 50100000 - 16 ლარი;

2.2 ერთი ერთეული ძრავის ზეთის (SPORTAGE) ღირებულებაა: 24 ლარი;

2.3 ერთი ერთეული ზეთის ფილტრის ღირებულებაა: 24 ლარი;

2.4 ერთი ერთეული ჰაერის ფილტრის ღირებულებაა: 48 ლარი;

2.5 ზეთის ფილტრის შეცვლის მომსახურების ღირებულებაა: 12 ლარი;

2.6 ჰაერის ფილტრის შეცვლის მომსახურების ღირებულებაა: 4 ლარი;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

შემსყიდველი მიმწოდებელი

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიწოდება და მიღება ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მომსახურების გაწევა, მოხდება ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მომსახურების გაწევა, განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე, თბილისი, აღმაშენებლის ხეივ, 2 კმ.;

4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს : თენგიზ დოლიძე; (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი)

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – რევაზ გოგეშვილი);

5.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

5.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლისა და მომახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

შემსყიდველი | მიმწოდებელი

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი რევაზ გოგეშვილი;

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

6.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

7.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაჭრის გზები

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით;

12. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542 მის:ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #49ა საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ტერა ბანკი“ ბანკის კოდი: TEBAGE22 ანგარიშის ნომ: GE08KS0000000360800806	**შპს „კია მოტორს ჯორჯია“** საიდენტიფიკაციო კოდი: 236096675 მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ; საბანკო რეკვიზიტები: „ვი-თი-ბი ბანკი“ ბანკის კოდი: UGEBGE 22 ანგარიშის ნომ: GE44VT7000008888883602

დირექტორი: თ.ტყეშელაშვილი

დირექტორი: გ.ამაშუკელი

LLC KIA MOTORS GEORGIA

Digitally signed by LLC KIA MOTORS GEORGIA
Date: 2019.12.17 18:02:38 +04'00'

შემსყიდველი

მიმწოდებელი